



# ლურ

2024, სექტემბერი

იუდიუსის მათლებულების მუნიციპალიტეტი  
THE MONTHLY BULLETIN OF CATHOLICS OF GEORGIA - SABA





რედაქტორის მახრიდი .....	3
პათოლოგიური ეკლესია	
მსოფლიოში.....	4-5
ჩვენი ეკლესია .....	6-10
ჩანართი:.....	I-IV
სოციალური მახრიდი -	
Caritas Georgia .....	11
სახარების სისარულის	
მოწევი.....	12-13
ისტორიის	
ფურცლები.....	14-15
პათოლოგიური	
მახრიდი .....	16
პათოლიკური	
კულტურის .....	17
ინფორმაცია.....	18-19

## სეპტემბერი

- 5** სექტემბერი – წმ. ტერეზა კალკუტელი, დედა ტერეზას დების დღესასწაული
- 8** სექტემბერი – მარიამის შობა, ვალეს საკრებულოს დღეობა, ბათუმის დიდი ეკლესიის დღეობა
- 10** სექტემბერი – სტიგმელი მამების ჩამოსვლა საქართველოში
- 14** სექტემბერი – ჯვართამაღლება, უნის საკრებულოს დღეობა
- 15** სექტემბერი – მგლოვიარე ქალწული მარიამი, არალში შუა ფარების ეკლესიის დღეობა
- 16** სექტემბერი – მ. მიხეილ თამარაშვილის გახსენება (+1911)
- 21** სექტემბერი – წმ. მათე მოციქულისა და მახარებლის დღესასწაული
- 29** სექტემბერი – წმ. მიქაელ, წმ. გაბრიელ და წმ. ოთაელ მთავარანგელოზთა დღესასწაული

## 26 სექტემბერი

წმ. დიდოწამე ქეთევან დედოფალი,  
მოწამეობის მე-400 წლისთავი



# მოლერანტობა არ არის გულგრილობა

რამდენი შეხვედრა მოაწყო სამთავრობო აპარატ-მა და არასამთავრობო ორგანიზაციებმა კონფესიის წარმომადგენლებთან კეთილშობილური განზრახვით, რათა ესაუბრათ მათი მდგომარეობის შესახებ საქართველოში. თუმცა ხშირად უკითხავთ მის მონაწილეებს, ღირს კი შეხვედრების გაგრძელება, თუკი მიღებულ შედეგებს გავითვალისწინებთ. იმედგაცრუებულები დავრჩებით, როცა ამ საკითხთან დაკავშირებით რაიმეს ძებნას დავიწყებთ პარტიების საარჩევნო პროგრამებში; როგორც ჩანს, ყველაზე მეტად აინტერესებთ პატრიარქის წინაშე მუხლმოყრილი ან ანთებული სანთლით ხელში ფოტოების გადაღება, ისიც მართლმადიდებლურ დიდდღესასწაულებზე, და მეტი არაფერი. ამიტომაც კვლავ გრძელი და აღმართიანი გზაა გასავალელი. ეს პრობლემები რომ გადაიჭრას, უნდა არსებობდეს ძლიერი, საერთო საფუძველი... როგორც ჩანს, საფუძველი ტოლერანტობაში, საზოგადოების დემოკრატიულ კონცეფციასა და ადამიანის საყოველთაო უფლებების დეკლარაციაში დევს. რა თქმა უნდა, ყველა იბრძვის ადამიანის უფლებებისთვის; მაგრამ ასკეტური შრომა, რასაც ტოლერანტობა მოითხოვს, როგორც დამაჯერებლობის, ისე სანდოობის კუთხით, როგორც ინდივიდუალურ, ისე ინსტიტუციურ დონეზე, აღარ არის აქტუალური და გახდა გაუგებარი, შემთხვევითი, არარსებული, ამიტომაც შემამჟოთებელია კავშირი ავთენტურსა და არაავთენტურს, ბუნებრივსა და არაბუნებრივს, ინდივიდუალურსა და სოციალურს, სუპიექტურსა და ობიექტურს, უცვლელსა და ცვალებადს, მისალებსა და მიუღებელს შორის, რაც არაერთ გარემოებას ტოვებს ორაზროვან და უსამართლო „დე ფაქტოში“. თუკი მართალია, რომ: „ჩემ გარდა სხვაგანაც არის ჭეშმარიტება“, მაშინ მანძილი ფრაზამდე: „განსხვავებების მიმართ გულგრილობა“, როგორც პოლ რიკიორი ამბობდა, ძალიან მოკლეა. და ეს ცვლილება დღევანდელ დემოკრატიულ საზოგადოებაში ხდება ყველას თვალინ... მაშინ როგორ შეგვიძლია თავიდან ავიცილოთ ის, რომ სხვისმა სიმართლემ არ გააღვივოს გულგრილობა? სწორედ აქ იჩენს თავს ინტოლერანტობის (აუტანლობა, ამტანიანობის დაკარგვა), როგორც ტოლერანტობის უკანასკნელი თავშესაფარი, ტოლერანტობა კი ჯერ კიდევ აქტუალურია, თუკი გავითვალისწინებთ, რომ აღარ რჩება დრო მოთმინებისთვის, ალტერნატიული მსახურებისთვის, შიმშილო-

ჩამა გაპრივლე  
რჩაგანტინი CSS  
მთავარი რედაქტორი

სტიგმელი;  
ეპისკოპის ვიკარიუსი  
ეუმარიზმისა და კულტურის  
დარგში; ძუთაისის,  
გათუმაშისა და რზურგების  
საკანეულოთა წინამდებარი



ბით გამოხატული პროტესტისთვის... გარკვეულად რომ ვთქვათ, კიდევ უნდა ვიჩენდეთ ტოლერანტობას იმის მიმართ, რომ საქართველოში არ არსებობს რელიგიებთან დაკავშირებული პრობლემების გადაწყვეტისა და საეკლესიო ქონების კანონიერი მფლობელებისთვის დაბრუნების სურვილი? ტოლერანტობა უნდა გამოვიჩინოთ იმის მიმართ, რაც პარიზში ოლიმპიადის გახსნისას ვიხილეთ? ნუთუ ტოლერანტობას უნდა ვიჩენდეთ იმის მიმართ, რომ მხოლოდ ზოგიერთს აქვს საკუთარი თავის დაცვის შესაძლებლობა და სხვები ყოველთვის ჩუმად უნდა იყვნენ, თორემ „ფანატიკოსებად და სულელებად“ შერაცხავენ? ინტოლერანტი ყოველთვის ინვეცს აღშფოთებას, ანუ მძიმე რეაქციას, განსხვავებით მოდუნებული საზოგადოებისაგან, რომელიც მზად არის მიიღოს ყველაფერი თანაბრად უმნიშვნელოდ „ინკლუზიურობის“ და განსხვავებულობის სახელით. თუკი აღშფოთება ბარიერად აღიმართება, განსაკუთრებით მორალური გულგრილობის წინაშე, განგაშის ზარი უნდა შემოკრას, ახალი „გონივრული ბალანსი“ უნდა ეძიოს აღშფოთების „ცივილურ“ ბრაზს შორის და ხელახლა აღმოაჩინოს თანამედროვე კულტურის მტვერმოკიდებული წყაროები, რომელიც გამოიხატება მამაკაცისა და ქალის, ღმერთის შესახებ ობიექტური სიმართლის მიღებაში, ბუნების კანონებისა და საერთო სიკეთის დაცვაში. ცხადია, ინტოლერანტი პრობლემურია შეძენილი ტოლერანტობის კონტექსტში და სრულიად აქტუალურია მხოლოდ იმ კულტურაში, რომელიც ტოლერანტობით არის ნაკვები. ეს მოლოდინი რომ გამართლდეს, უნდა დავრჩნენდეთ, რომ ყველაფერი გავაკეთეთ, რაც კი შესაძლებელი იყო და ვუპასუხეთ ზოგიერთ წინასწარ დასმულ კითხვას: როგორ ამოვიცნოთ ინტოლერანტი? რით ხასიათდება იგი? ვისი სახელით უნდა დაიგმოს? იქნება მე თავად ვარ გულგრილი ტოლერანტი?

## ნიკარაგუა. ორთებას რეზიგნაცია მატარალპას პარიტასის იურიდიული სტატუსი მახასიათებელი



საქართველოს კარიტასი  
CARITAS GEORGIA


ორგანიზაციის კუთვნილი ქონება ჩამოერთვა და სახელმწიფოს გადაეცა. Caritas Matagalpa ემსახურებოდა რეგიონის ყველაზე გაჭირვებულ თემებს, რომლებსაც ხელი არ მიუწვდებათ ჯანდაცვასა და განათლებაზე. ორგანიზაციის სოციალური მომსახურების სფერო მოიცავდა სამედიცინო და სასწავლო დაწესებულებებს, მოხუცებულთა და მზრუნველობას მოკლებულ ბავშვთა თავშესაფრებს, შეზღუდული რესურსების მქონე სოფლის მოსახლეობის უზრუნველყოფას თესლით, ნერგებით, სასოფლო-სამეურნეო ტექნიკითა და ინვენტარით. როგორც Caritas Matagalpa, ასევე ქვეყანაში მოქმედი კიდევ შვიდი განყოფილება განახორციელებდა ტრეფიკინგის, განსაკუთრებით ბავშვებით ვაჭრობის პრევენციაზე ორიენტირებულ პროექტებს, დახმარებას უწევდა ძალადობის მსხვერპლ ქალებს.

ორტეგას რეზიმი კათოლიკე ეკლესიის დევნას განაგრძობს. გატაცებულია რამდენიმე ღვთისმსახური. ზოგიერთი მათგანის ადგილ-სამყოფელი დღისთვის უცნობია. რამდენიმე ღვთისმსახური მანაგუაში, ფატიმის ღვთისმშობლის სახელობის სემინარიაში შინაპატიმრობაში იმყოფება. კიდევ რამდენიმე სასულიერო პირი ქვეყნიდან გააძევეს.

## ოლიმპიური ჩემპიონების რწმენის აღსარება

ოქროს მედალოსანი ბრაზილიელი ტან-


მოვარჯიშე რებეკა ანდრადე: „ბევრს ვმუშაობდი, ვვარჯიშობდი, ოფლს ვლვრიდი. ღმერთი მუდა ჩემთან იყო. მან მაკურთხა და ახლა ჩემით ამაყობს, რადგან იცის, რომ მისმა მხევალმა ძალლონე არ დაიშურა“. ყოფილმა ტანმოვარჯიშემ, ახლა კი მსროლელმა ადრიანა რუანმ თავის ქვეყანას ოქროს მედალი მოუტანა. „თავდაჯერება და მოგების ძალა ღმერთმა მომცა“, - თქვა ადრიანამ, რომელიც პარიზიდან ვატიკანში, უწმიდეს ფრანცისკესთან შესახვედრად გაემგზავრა. ბრაზილიელმა სკეიტბორდისტმა, რაისა ლილმა, პიედესტალზე დგომისას ჟესტების ენით აუწყა მაყურებლებს, რომ „იესო არის გზა, ჭეშმარიტება და სიცოცხლე“. მიუხედავად ოლიმპიური ქარტიის 50-ე წესისა, რომლის თანახმად თამაშებისას იკრძალება პოლიტიკური, რელიგიური და რასობრივი პროპაგანდა, რწმენის საჯაროდ აღსარებას არც მართლმადიდებელი ნოვაკ ჯოკოვიჩი მოერიდა. ახალგაზრდა ესპანელ ვარსკვლავზე, კარლოს ალკარასზე, გამარჯვების შემდეგ განთქმულმა ტენისისტმა დაიჩინქა და რამდენჯერმა გადაისახა პირჯვარი.



# პათოლიკური ეკლესია მსოფლიოში რუსულად ავალიზაციი

## წმიდა საყდრის მიმართვა ირანისადმი

12 აგვისტოს წმიდა საყდრის სახელმწიფო მდივანი, პიეტრო პაროლინი, ტელეფონით ესაუბრა ირანის ახალარჩეულ პრეზიდენტს, მასუდ ფეზეშქიანს. საუბრისას კარდინალმა აღნიშნა, რომ დაუშვებელია ახლო აღმოსავლეთში მიმდინარე საომარი მოქმედების რაიმე სახით ხელშეწყობა და ამ სისხლისმღვრელი კონფლიქტის გაფართოება. საუბარი გაიმართა მას შემდეგ, რაც ირანის უმაღლესმა რელიგიურმა ლიდერმა, აიათოლა ალი ჰამენეიმ განაცხადა, რომ ირანის ვალია შური იძიოს ჰამასის ლიდერის, ისმაილ ჰანიას მკვლელობისთვის. 11 აგვისტოს ისრაელის თავდაცვის ძალების გენერალური შტაბის მეთაურმა, ჰერცი ჰალევიმ განაცხადა, რომ ჯარი მზადაა ირანის მხრიდან შესაძლო დარტყმისათვის.



## 2025 წლის მშვიდობის მსოფლიო დღის თამა

ადამიანის მდგრადი განვითარების ხელშეწყობის დიკასტერიის ოფიციალური განცხადების თანახმად, მშვიდობის შემდეგი დღის თემა იქნება „მოგვიტევე ჩვენ შეცოდებანი და მოგვანიჭებენი მშვიდობა“. მშვიდობის მსოფლიო 58-ე დღე 2025 წლის 1 იანვარს გაიმართება. „მშვიდობის საწინდარი მხოლოდ მოქცევაა - პიროვნული, საზოგადოებრივი, საერთაშორისო. მხოლოდ ამგვარად დამკვიდრდება მშვიდობა, - ჭეშმარიტი მშვიდობა, რომელიც მხოლოდ კონფლიქტების შეწყვეტას როდი გულისხმობს. ჭეშმარიტი მშვიდობა ახალი რეალობაა, რომელშიც მოშუშდება

ყველა იარა და აღიარებულ იქნება ყოველი ადამიანის ღირსება“, - ნათქვამია განცხადებაში.



## წმიდა საყდრის მანახადება 2024 წლის ოლიმპიადასთან დაკავშირებით

მოკლე განცხადებაში, რომელიც წმიდა საყდრის პრესცენტრმა უზრნალისტებს ელფოსტის მეშვეობით გაუგზავნა, ნათქვამია: „წმიდა საყდარი წუხს პარიზის ოლიმპიური თამაშების გახსნის ცერემონიალის გარკვეული სცენების გამო და უერთდება მათ, ვინც ხმა აღიმაღლა ქრისტიანებისა და სხვა რელიგიების წარმომადგენლებისათვის მიყენებული შეურაცხყოფის გამო. ასეთ პრესტიულ ღონისძიებაზე, რომლის დროსაც მთელი მსოფლიო საერთო ღირებულებების გარშემო ერთიანდება, დაუშვებელია რაიმე ფორმით მრავალი ადამიანის რელიგიური მრწამსის დაცინვა“.



## მარიამის ზეცად აღყვანების პათოლიკური საკათადრო ტაძარი



### განახლებული ტაძრის სამრევლოს ისტორია

თბილისში 1999 წლის გაზაფხული ინურებოდა. წმიდა მოციქულთა პეტრესა და პავლეს ეკლესიაში შევიტყვე, რომ მარიამის ზეცად აღყვანების (უნინ ღვთისმშობლის მიძინების) ახალ კათოლიკურ ტაძარში, რომელიც ჯერ კიდევ არ იყო მრევლისთვის გახსნილი, წმიდა იოსების პატარა ქალიშვილების ორი მონაზონი ჩამოვიდათ. გულმა არ მომითმინა და გ. აბესაძის ქუჩას მივაშურე. ტაძრის მთავარი შესასვლელი დაკეტილი დამხვდა; ეზოში შევედი და უკანა კარებზე დავრეკე ზარი, გამომხედა სანდომიანი სახის მონაზონმა (მერე გავიგე მისი სახელი - და ემა ლიზა, მეორე მონაზონს კი სილვია როზა ერქვა), ნახევრად ინგლისურად ვკითხე წმიდა წირვის დაწყების დრო. მიპასუხა, რომ ჯერ არ იყო ცნობილი და მირჩია, მეორე ეკლესიაში წავსულიყავი. მე მტკიცედ განვუცხადე, რომ აქ მინდოდა სიარული. გაელია და კარი ფართოდ გამიღო. მანამდე მეუფის დავალებით ვიყავი მივლინებული ახალი მრევლის კატეხიზაციისათვის, რომელიც 15 აგვისტოს, ტაძრის კურთხევის შემდეგ უნდა დაწყებულიყო. პირველ ნაკადში ოცდაცამეტი მორწმუნე იყო უკვე მომზადებული და მათგან მოცდაშვიდმა აღსარებისა და ზიარების საიდუმლობანი მიიღო 2000 წლის დიდ ხუთშაბათს, საიდუმლო სერობის წმიდა წირვაზე, რაც შემდგომ ტრადიციად იქცა.

ტაძრის გახსნის დღიდან, მეუფის გადაწყვეტილებით, ხუთშაბათობით (დიდი მარხვის გარდა), წმიდა წირვის დამთავრების შემდეგ, დაწესდა ევეკარისტიის თაყვანისცემა, რისთვისაც ამავე სახელწოდებით გამოიცა ლოცვების წიგნი, რომლის შესავალში მეუფე აღნიშნავს: „საქართველოშიც, კათოლიკურ საკრებულოებში მყარდება ლამაზი ჩვეულება - განსაკუთრებით ხუთშაბათ დღეს - ევეკარისტიული თაყვანისცემის შესრულებით... დაე, ევეკარისტიული თაყვანისცემა იყოს მოსვენება, გულისნადებისა და სულის ამოთქმა იქსოს წინაშე სიჩუმესა და

ღვთიურ ჭვრეტაში“.

ამ 25 წლის განმავლობაში ეკლესიის წინამძღვრები იყვნენ მეუფე ჯუზეპე (მას ეხმარეოდა დიაკონი ვლადიმირ აქსენტიევი), მამა ბერნარდინ სვიდერსკი, მამა ანდრე გრაჩევი. თითოეულ მათგანს მსახურებაში ახასიათებდა საკუთარი პრინციპები და მრევლთან ურთიერთობის პირადი დამოკიდებულება. დღეს ეკლესიის წინამძღვარია მამა ზურაბ კაკაჩიშვილი, რომელმაც უფრო მრავალმხრივი გახადა მრევლის საქმიანობა და ბევრი სიახლე შემოიტანა ეკლესიის ცხოვრებაში. მამა ანდრე გრაჩევის წინამძღვრობისას საფუძველი ჩაეყარა „ცოცხალი სავარდის“ ლოცვის ტრადიციას, რომელიც დღემდე სრულდება. ამ ჯგუფში გაერთიანებულია ოცი მორწმუნე, რომლებიც ყოველდღიურად ასრულებენ ერთ საიდუმლოს.

2005-2006 წლებში, როდესაც საქართველოში ჩამოვიდა მამა პიერ დიუმულენი, მისი ინიციატივით, მოხდა კატეხისტების მომზადება საქართველოს მასშტაბით. საკათედრო ტაძრის კატეხისტები სიხარულით ჩავერთეთ ამ ინიციატივაში და ხელახლა გავიარეთ მომზადების ორწლიანი კურსი წეროვანში; ჩავაბარეთ შესარჩევი გამოცდები და მივიღეთ დიპლომები. მოზრდილებთან ვმუშაობდით მე და ნატა ბიგვავა, ბავშვებს ამზადებდნენ ნანა ნიკვაშვილი და მზა ჯანაშვილი, ახალგაზრდებს კი - ჩვენი მღვდლები. კატეხისტებს დიდი დახმარება გაგვიწია ქართულად თარგმნილმა „კათოლიკური ეკლესიის

# ჩვენი ეკლესია თინათინ პოკოჩაშვილი

კატეხიზმომ“ და ვატიკანის II კრების მასალებმა.

1998-2024 წლებში მრევლის დასახმარებლად ყოველწლიურად გამოიცემოდა მეუფე ჯუზეპეს სამწყსო წერილები, ასევე მნიშვნელოვანი იყო პაპების: იოანე პავლე II-ის, ბენედიქტე XVI-ისა და ფრანცისკეს გზავნილები. მრევლის სულიერი წონასწორობის შენარჩუნებისათვის არ შეიძლება არ აღინიშნოს მნიშვნელობა ყოველწლიური დიდი კალენდრისა და პატარა წიგნი-კალენდრისა, რომელიც მითითებულია ყოველდღიური საკითხ-ავები ბიბლიიდან და ფსალმუნებიდან, აგრეთვე, წმიდანთა მოხსენების დღეები და დიდდღესას-ნაულები. გარდა ამისა, მრევლის დასახმარებლად 2013 წელს გამოიცა 1994 წელს დაბეჭდილი დილისა და საღამოს ლოცვანი - ქებანის განახლებული და შევსებული ვარიანტი. წლების მანძილზე დაწესდა საადვენტო და სადიდმარხვო საერთო კატეხიზაცია, რომელიც მეუფის პასუხისმგებლობით ტარდება. მის მიერ მოწოდებული ყოველი თემა არის მეტად ღრმა მნიშვნელობის და საინტერესო. დიღმარხვის პერიოდში, პარასკევობით, წმიდა წირვის მაგივრად, ტარდება „ჯურის გზა“, რისთვისაც გამოიცა ექვსი ბროშურა მოზრდილებისათვის და ერთი - საბავშვო, უფრო გამარტივებული ტექსტით.

2006-2007 წლებში ჩატარებული სინოდი იყო დიდი ნაბიჯი რწმენის განმტკიცებისა და გაღრმავებისათვის; მოხდა საქართველოს კათოლიკე მრევლის სრული კონსოლიდაცია მეუფე ჯუზეპეს გარშემო. ამ სინოდმა დაგვანახა მრევლის კეთილი ნება, დიდი ძალისხმევა კათოლიკე ეკლესიის განვითარებისათვის საქართველოში. ჩვენი ეკლესის ცხოვრებაში დიდად მნიშვნელოვანია სამრევლო საბჭოს მოღვაწეობა (ამ წლების განმავლობაში საბჭოს შემადგენლობა ექვსჯერ შეიცვალა). მის წევრებს აქტიური მუშაობა უწევთ საეკლესიო დღესასწაულების მომზადებაში, სამრევლოს შიდა საკითხების მოვარებაში. საბჭოს საზრუნავია ტაძრის საკუთარი დღესასწაულის, მარიამის ზეცად აღყვანების (რომელიც აღინიშნება 15 აგვისტოს), წინა კვირადღეს მრევლის ქალაქებრე გასვლა; საშობაო და სააღდგომო წმიდა წირვის შემდგომ აღაპის მოწყობა და სტუმრების გამასპინძლება.

ამ 25 წლის განმავლობაში საკათედრო ტაძრში გუნდის ხელმძღვანელი იყო მარინა ოცხელი და ორგანისტი ლევ ოსიპოვი. ერთი წელია, რაც მარინა ოცხელი შეცვალა არჩილ უშვერიძემ. 2000 წლიდან მრავალგზის მოწყობილობა მრევლისათვის (უფროსებისა და ახალგაზრდებისათვის ცალ-ცალკე). მოვილოცეთ წმიდა მინა, იტალიის ქალაქები, საბერძნეთი (წმიდა პავლეს კვალდაკვალ) და თურქეთი. მომლოცველობას, ზოგადად, აქეს შემეცნებითი და თვითგამორკვევის ქარიზმა, რაც აუცილებელია ქრისტესმიერი ძმური დამოკიდებულების გასაღ-

ვივებლად. განსაკუთრებით დასამახსოვრებელი იყო მომლოცველობა წმიდა მინაზე და საბერძნეთში, მღვდლებსა და მონაზვნებთან თანაზიარებაში.

25 წლის განმავლობაში საკათედრო ტაძარში აღსარებისა და ზიარების საიდუმლოების მისაღებად მომზადდა მრევლის ორას ცამეტი წევრი, მირონ-ცხების საიდუმლოსთვის - ას რვა, ნათლისლებისათვის - ას ოცდაცხრა, ქორნინებისათვის - ოთხმოცდასამი. დღესდღეობით ეკლესიაში აქტიურად დადის მომზადებულთა 30%. ამის მიზეზად სახელ-დება ქვეყნიდან ემიგრაცია, სიტუაციისა და მომავალი ცხოვრების გაურკვევლობა, უიმედობა, რაც ინვესტიციების გულგრილობას ეკლესიისადმი. ამ დღოის განმავლობაში გარდაიცვალა მრევლის მრავალი წევრი. მათი სახელები მოხსენიება წმიდა წირვაში 2 ნოემბერს - მოწყობილობის მიცვალებულთა ყოველდღესასწაულზე.

დიდი სიხარული მიანიჭა მრევლს 2016 წელს პაპ ფრანცისკეს ვიზიტმა საქართველოში. თბილისში, მიხეილ მესხის სახელობის ლოკომოტივის სტადიონზე წმიდა წირვის დაწყებისას მისი გამამხნევებელი მიმართვა - „დვირფასო მცირე სამწყსო!“ მრევლის გულს ჩასწვდა და დიდხანს დარჩება მის მეხსიერებაში. უდიდესი მნიშვნელობა ჰქონდა რწმენის განმტკიცებისათვის ფატიმის ღვთისმშობლის ჩამობრძანებას საქართველოში და, კერძოდ, საკათედრო ტაძარში, რომლის მრევლიც წელიწადზე მეტხანს ელოდა ამ ძვირფას სტუმარს.

2022 წლის 28-29 სექტემბერს მარიამის ზეცად აღყვანების ტაძარი მასპინძლობდა დედალვითისას სხვადასხვა ფორმით: სავარდისა და გულმოწყალების გვირგვინის ლოცვა, თაყვანისცემა (ადორაცია); მომზადდა ღვთისმშობლის გამოცხადების მოკლე ისტორია, საიდანაც რამდენიმე სცენა წარმოადგინეს ბავშვებმა. ამ ღონისძიებისათვის საგანგებოდ გამოიცა ლოცვანი: „ტკბილო დედა მარიამ!“, „ფატიმის გზავნილის ისტორიული დანიშნულება და ესქატოლოგიური საზრისი“; აგრეთვე, დიდი დასმარება გაუწია მრევლს ამ მნიშვნელოვანი ღონისძიების სწორად აღსაქმელად და გასააზრებლად მეუფე ჯუზეპეს სამწყსო წერილმა „ფატიმის ღვთისმშობლის ქანდაკების ჩამობრძანების სამზადისისთვის“. მოწყობილეთათვის დარიგდა ასობით ვარდისფერი, თეთრი, მოწვანო და შავი ფერის კრიალოსანი. საოცრად ლამაზი და გულისამაჩუქურებელი იყო სადღესასწაულო წმიდა წირვა საკათედრო ტაძარში. პორტუგალიიდან, იტალიიდან და საქართველოს ყველა კათოლიკური საკრებულოდან ჩამოსული სტუმრებით საესე, ყვავილებით მორთულ ტაძარში ისმოდა გუნდის ულამაზესი გალობა, მიძღვნილი ძვირფასი დედისადმი. წმიდა წირვის შემდეგ კი ხელში ატაცებული მარიამი გავაცილეთ თავისუფლების მოედნიდან...

# ჩვენი ეკლესია თიცათიც კოკოჩაშვილი

## მარიამობა



2024 წლის 15 აგვისტო თბილისის ღვთისმშობლის ზეცად აღყვანების საკათედრო ტაძრისთვის მნიშვნელოვანი დღეა. ეს თარიღი უკავშირდება 1995 წლის 15 აგვისტოს, ტაძრის კვლავ კურთხევის 25 წლისთავს და 1804 წლის აღმშენებლობიდან 220 წელს. 25 წელი, ისევე როგორც 50, 75, 100 წლები საიუბილეო თარიღებია და მათ ყოველთვის განსაკუთრებით აღნიშნავენ, ჯამდება ამ წლებში სამრევლოში განეული სამუშაოები და მღვდლების მიერ მრევლში ჩატარებული ღონისძიებები.

ამ დღებულ დღესთან დაკავშირებით დიდი საჩუქარი იყო პაპ ფრანცისკეს დეკლარაციის ქართული თარგმანი: „კურთხევათა სამწყსო მნიშვნელობის გამო“, სადაც აღნერილია კურთხევები, რომლებიც ყველასთვისაა: „ჩევენ ღმრთისათვის უფრო მნიშვნელოვანი ვართ, ვიდრე ყველა ცოდვა, რაც შეგვიძლია ჩავიდინოთ, რადგან ღმერთი არის მამა, ის არის დედა, ის არის სუფთა სიყვარული, მან გვაკურთხა სამუდამოდ, და ის არასოდეს შეწყვეტს ჩვენს კურთხევას“. ბოლოს პაპი დასძენს: „ამგვარად, ეკლესია არის ღმრთის უსაზღვრო სიყვარულის ხილული ნიშანი, ამიტომ ყოველთვის შეიძლება კურთხევის თხოვნა, როგორც პეტრე ითხოვდა ქარიშხალის დროს: „უფალო, მიშველე!“ (მათე 14, 30).

ამ დღისთვის ბაპტისტი ეპისკოპოსის, რუსუ-

დან გოცირიძის მიერ ქართული ორნამენტებით მოხატული „ლორეტოს ღვთისმშობლის ლიტანია“ განთავსდა ტაძრის აფსიდაზე, ჭერის კესოზე ორ რიგად. გარდა ამისა, საგანგებოდ დაიბეჭდა ბრომურა, რომელიც დაწვრილებით განმარტავს თითოეულ ფრაზას. და კიდევ ერთი საჩუქარი იტალიიდან - წმიდა ანტონ პადუელის (მოხსენიება 13 ივნისს) ქანდაკება, რომელიც წმიდა ნინოს ქანდაკების მოპირდაპირედ, ნიშში განთავსდა.

12 საათისთვის ეკლესია შეიცსო მღვდლებით, ბერ-მონაზვნებითა და მრევლით. დიდდღესასწაულის წმიდა წირვა აღავლინა მეუფე ჯუზებე საქართველოში მოღვაწე კათოლიკე ეკლესიის სხვა მღვდლებთან თანაზიარებაში. ქადაგებისას მეუფე აღნიშნა, რომ „ღვთისმშობლის ზეცად აღყვანება ახალი დღესასწაულია, რომელიც დაიბადა არა წერილებიდან, არა სიტყვიდან, არამედ ეკლესიის რწმენიდან. ეკლესიამ ნელ-ნელა გაითავისა ეს საიდუმლო, დოგმა, რომელიც აიტაცებს ჩვენს მზერას ცაში. ჩვენი ცხოვრების მიზანი არის ცა და არა მინა“. მეუფემ გაიხსენა წმიდა მამების ნათქვამი: „მარიამმა მოიყვანა უფალი მიწაზე, უფალმა კი ზეცად აიყვანა მარიამი“. ეპისკოპოსმა ისაუბრა საკათედრო ტაძრის მისიაზე - ილოცოს და შემოიკრიბოს ყველა სხვა კათოლიკე საკრებულო საქართველოში. ქადაგების ბოლოს მან მადლობა

# ჩვენი ეკლესია თინათინ კოკოჩაშვილი

გადაუხადა ყველას, ვინც კი ამ 25 წლის განმავლობაში მონაწილეობა მიიღო ეკლესის საქმიანობაში. ამის შემდეგ მეუფებ სიტყვა გადასცა ტაძრის წინამძღვარს მამა ზურაბ კაკაჩიშვილს, რომელმაც სამადლობელი სიგელებით დააჯილდოვა მოწვეული სტუმრები და სამრევლო საბჭოს წევრები. სიგელები გადაეცათ: იტალიელ არქიტექტორ ჯან ფრანკო დალლე პეცეს, რომელმაც აღადგინა ტაძარი, იგი საგანგებოდ ამ დღისთვის ჩამოვიდა საქართველოში; სამუშაოთა ზედამხედველს გვიდო მელოტის (მან ვერ შეძლო თბილისში ჩამოსვლა, მას სიგელს იტალიაში გადასცემენ); სიგელი მიიღო ყველამ, ვინც ამ 25 წლის განმავლობაში იყო სამრევლო საბჭოს (მისი შემადგენლობა დაახლოებით ექვსჯერ შეიცვალა) წევრი; გუნდის ყოფილმა და ახლანდელმა ხელმძღვანელობამ, ორგანისტებმა; 1999 წელს აღდგენითი სამუშაოს მწარმოებელმა (ვინაიდან იგი გარდაცვლილია, სიგელი გადაეცა მის ქვრივს). სიგელები მიიღეს ასევე ახლად დასრულებული სარემონტო სამუშაოების შემსრულებლებმა და მრევლის სხვა აქტიურმა წევრებმა. ბოლოს სამახსოვრო საჩუქრები გადასცეს თვით მეუფეს, როგორც ამ ტაძრის სულისჩამდგმელსა და პირველ წინამძღვარს.

წმიდა წირვის დასასრულს მრევლმა შეასრულა მარიამის საგალობელი, შემდეგ გაიმართა საორგანო მუსიკის კონცერტი. ზეიმი დასრულდა ტაძრის ეზოში გაშლილი მოერძალებული საერთო სუფრით. აქვე გამოფენილი იყო ტაძრის მრევლის საქმიანობის ისტორიის ამსახველი ფოტოები, იყიდებოდა წინასწარ მომზადებული სუვენირები. ამ მნიშვნელოვან დღეს კი წინ უსწრებდა ორთვიანი დაუღალავი სამზადისი, რომელშიც ჩართული იყო თითქმის მთელი მრევლი. გამოცხადდა დღესასწაულის მოსამზადებელ კომიტეტში მსურველთა ჩანერა. კომიტეტის პირველივე შეკრებას დას-



წრო მეუფე ჯუზეპე და ტაძრის წინამძღვარი მამა ზურაბი. დაისახა ღონისძიებები: ტაძრის ფასადის განახლება, ეკლესიის დალაგება-დასუფთავება და სამრევლოს ისტორიის დაწერა, სიგელების დაბეჭდვა, სამახსოვრო სუვენირების (ჭიქები, თეფშები, ბროშურები, ბარათები) მომზადება და სხვა.

ყველასათვის ცნობილია, რომ მარიამის ზეცად აღყვანების დიდდელსასწაულამდე წინა კვირადღეს საკათედრო ტაძრის მრევლი ყოველთვის აწყობს გასვლას ქალაქებით, ბუნებაში. წელს მოვინახულეთ ლაგოდების მუნიციპალიტეტის სოფელი ხიზაბავრა, სადაც 2002 წელს, ჩვენი მეუფისა და მამა ადამ ოხალის ძალისხმევით, წმიდა ნინოს სახელზე აიგო პატარა, ლამაზი ეკლესია. ამ სოფელში ოდითგანვე ცხოვრობდნენ მეხეთ-ჯავახეთის ხიზაბავრიდან გადმოსახლებული ქართველი კათოლიკები. 11 აგვისტოს, დილის 8 საათზე, მრევლის წევრები შევიკრიბეთ თავისუფლების მოედანზე და ავტობუსით გავემგზავრეთ კახეთში. გზად ვილოცეთ სავარდის „დიდების საიდუმლო“, გიორგი ცხომელიძემ გვიამბო ჩვენი ტაძრისა და მრევლის ისტორია. ხიზაბავრაში ჩასულებმა დილის 12 საათზე აღვავლინეთ წმიდა წირვა, წარმოვთქვით საგანგებო ლოცვა-ვედრება წმიდა მარიამისადმი და ბოლოს გადავიდეთ

სამახსოვრო ფოტოსურათები. იქვე, სოფელში მოვინახულეთ მღვდლის სახლი, რომელიც დაპროექტებულია ჩვენი მრევლის წევრის, ცნობილი არქიტექტორის, მარინა თუმანიშვილის მიერ. აქ, პირველ სართულზე თბილისიდან ჩამოტანილი სურსათ-სანოვაგით დიდებული სუფრა გაიმალა. შემდგომ გავემართეთ ბოდბეში და მოვილოცეთ წმიდა ნინოს საფლავი. თბილისისკენ მიმავალ გზაზე ავტობუსში ვითამაშეთ ვიქტორინა, რომელიც შეადგინეს მზია ჯანაშვილმა (ტაძრის ისტორიიდან) და ნატო ბიგვავამ (სახარების მიხედვით); გამარჯვებულებს დაურიგდათ სამახსოვრო ბარათები და სუვენირები.



# ჩვენი ეკლესია თითოთიც კოკოჩაშვილი



მეორე დღეს, 12 აგვისტოს, საღამოს წმიდა წირვის შემდეგ, სამრევლოს წევრებმა ილოცეს სავარდის „სიხარულის საიდუმლოებები“. მომზადებული იყო თითოეული საიდუმლოს შესავალი მედიტაცია და ყვავილები ღვთისმშობლისათვის. 13 აგვისტოს, წმიდა წირვის შემდეგ შესრულდა ყოვლადწმიდა ღვთისმშობლის ლიტანია ორგანის თანხლებით. 14 აგვისტოს ვილოცეთ ყოვლადწმიდა ქალწული მარიამის მწუხრი დილისა და საღამოს ქებანის მიხედვით. ვიგალობეთ ფსალმუნები.

რა ამაღლებულია ამ ტაძრის მრევლის წევრობა...

გულწრფელი მაღლობა ჩვენს ეპისკოპოსს, მამა ჯუზეპეს, მასთან ერთად გატარებული ამ 25 წლისათვის, მაღლობა მღვდლებს, ბერ-მონაზვნებს, ქრისტესადმი ცხოვრებაშენირულებს, მაღლობა მრევლს, ხანდაზმულებს, ახალგაზრდებსა და ბავშვებს... მაღლობა ყველას! ვმაღლობა უფალს და შევთხოვთ ღვთისმშობელს:

გევედრებით, წმიდაო მარიამ, შენი ზეცად აღყვანებისადმი მიძღვნილი ტაძრის მრევლის სახელით, გვიშუამდგომლე ჩვენს მამასთან, რათა მისი მზრუნველობა და ნუგეშისცემა არ მოაკლდეს საქართველოში არსებულ კათოლიკე ეკლესიას და, კერძოდ, მარიამის ზეცად აღყვანების საკათედრო ტაძარს, მის მრევლს, მორწმუნებს, ვინც პირველად მიიღო აღსარებისა და ზიარების საიდუმლოებები ამ ეკლესის წილში. ხოლო მათ, ვინც ამ ხნის განმავლობაში ფიზიკურად დაგვტოვა და შეუერთდა ზეციურ ეკლესიას, მიუტევე ცოდვები და დაუმკვიდრე სასუფეველი.

უფალო ღმერთო, მამაო სახიერო, მოგვანიჭები მაღლი, ესოდენ რომ გვჭირდება. შეენიე მთელ საღმრთო ერს, განსაკუთრებით კი, საქართველოში არსებულ მცირე კათოლიკე მრევლს და განამტკიცე რწმენაში, რათა მეტი შემართებით იღვანონ შენი სახელის სადიდებლად. ამენ!





„ადამიანი ეძებს სილამაზეს, სწყურია იგი და მზადაა ემსახუროს მას; ღმერთის სილამაზისა და მისი მოქმედების აღქმა მოითხოვს გულის გონიერებას, დაუსრულებელ ასკეტურ გზას, ნებისმიერ სილამაზეში ჩაწერილი არსის მუხლაუხერელ ძიებას. სილამაზე ესქატოლოგიურია, ისევე როგორც სიყვარული, თანაზიარება... ჩვენ, სასუფევლის გზაზე მდგარი მომღლოველები, მუდამ ველტვით სრულყოფილებას, რომელიც არ გვეძლევა“. ლიტურგიის სილამაზე განისაზღვრება და ფასდება იმ უნარით, რითაც მას შეუძლია აჩვენოს ქრისტეს ქმედითი მყოფობა.

პაპ ფრანცისკეს სამოციქულო წერილის „Desiderio desiravi“ (2022 წ.) მე-16 თავში, რომელიც ვატიკანის მეორე კრებაზე მიღებულ ლიტურგიულ რეფორმას ეხება, ვკითხულობთ: „მთელი ეკლესია მონიდებულია ხელახლა აღმოაჩინოს, დაიცვას და იცხოვოს ქრისტიანული მსახურების ჭეშმარიტებითა და სიძლიერით“, რათა არ მოხდეს „ქრისტიანად ყოფნის სილამაზის

დამახინჯება მისი ღირებულების ზედაპირული და შეზღუდული გაგებით“. ეკლესია აჩვენებს, რომ „ლიტურგიული რეფორმა არ არის დასრულებული, მართალია, ბევრი კარგი შედეგი იქნა მიღწეული, მაგრამ მაინც იგრძნობა გარკვეული დაძაბუნება და ჯაფა ლიტურგიის ორგანიზებასა და მომზადებაში, რაც ზოგჯერ რუტინად იქცევა“. ამიტომაც არის მნიშვნელოვანი მწყემსთა მოწოდება მომზადებისა და პასუხისმგებლობისაკენ, რაც ვატიკანის მეორე კრების კონსტიტუციის „Sacrosanctum Concilium“ (რომლის გამოცემიდან (1964 წ) წელს 60 წელი სრულდება) შემდგომ ცენტრალურ საკითხს ნარმოადგენდა ეკლესიისათვის და განახლებულ იქნა პაპ პავლე VI-ის, იოანე პავლე II-ის, ბენედიქტე XVI-ისა და ამჟამად პაპ ფრანცისკეს მიერ. სწორედ ღვთაებრივ სიკეთეს განეკუთვნება - განმარტავს წმიდა თომა აკვინელი - ყველასათვის გასაგები ხილვადი ნიშნებით „ლაპარაკი“, რომელიც უხილავსა და ზებუნებრივ რეალობას საზრისს

მიანიჭებდა. ამიტომაც არის, რომ ლიტურგია ჩვენში ყველა გრძნობას ბიძგს აძლევს: მხედველობას (სინათლით, წმინდა საგნებითა და ფერებით), სმენას (სიტყვით, გალობითა და მუსიკით), ყნოსვას (საკმევლით), შეხებას (წყლით, ზეთით, ნაცრითა და ხელის სხვადასხვა უსტით), ასევე გემოს (პურითა და ღვინით). ლიტურგია, ეკლესიის ცხოვრების „წყარო და მწვერვალი“, უნდა გვაოცებდეს ალსრულებული საიდუმლოებით: წმიდა უსტებით, გაცხადებული და მოსმენილი სიტყვით, აღსრულებული ნიშნებით, იქ მყოფთა ზიარებით, სიხარულით, რომელიც იქ სუფექს, გალობით, სურნელით, ფერებით... როგორც არასდროს, ისე მნიშვნელოვანია გაება ლიტურგიის ჭეშმარიტების სილამაზისა, რომლის მთავარი გმირია ყველა მონათლული, რამეთუ „ლიტურგია ღვთის ყველა წმიდა ერის საქმეა“.

ამ სტატიაში ყურადღებას გავაძევილებთ ლიტურგიის ერთერთ მოკრძალებულ ასპექტზე, მის გარეგნულ მხარეზე, რომელიც

# საგანგებო ჩანართი



გულისხმობს ლიტურგიული შესამოსლის ფერებს; ვის არ გასჩენია კითხვა, ღვთისმსახურების დროს რატომ იმოსებიან წლის განმავლობაში მღვდლები სხვადასხვა ფერის სამოსლით? შეიძლება ითქვას: წირვაზე ყველანაირი ფერია! ერთ კვირას მღვდლელი წითლად იმოსება, მეორე კვირას - ამბობი მწვანე ფერით ლამაზდება, სხვა დროს საკურთხეველი მენამულის-ფერშია, ეს ყველაფერი, შესაძლოა, დაბნეულობას იწვევდეს ბევრში, ვინც ამ დეტალებში გათვითცნობიერებული არ არის.

სანამ საკითხის არსა შევეხებოდეთ, უნდა განვმარტოთ, რომ თავდაპირველად ეკლესია ლიტურგიაში უპირატესობას ანიჭებდა ძალზე სადა სამოსა, რომელიც არაფრით განსხვავდებოდა რიგითი ადამიანის ჩაცმულობისაგან; ქრისტიანობის გავრცელებასთან ერთად, რასაც მოჰყვა ეკლესიის უმაღლესი რანგის საერთო აღიარება (მოყოლებული კონსტანტინედან, IV ს), მენამულის-ფერი (მუქი ისფრიდან უოლოს-ფერ წითლამდე და მწვანე ფერის ტონალობამდე) ფართოდ გამოიყენებოდა. ამ სალებავის მისაღებად ხანგრძლივი პროცესი იყო საჭირო (ისფერი მიიღებოდა ლოკოგინას სეკრეციიდან), მენამულისფერი მხოლოდ მეფეებისა და მთავრების სამოსელთან იგივედებოდა. ამას მოწმობს რავენასა და რომში არსებული მოზაიკა, რომელზედაც ეპისკოპოსები მუქი მენამულის-

ფერი სამოსით არიან გამოსახულები. ყოველ შემთხვევაში, თეთრი ფერი დომინირებს IV საუკუნიდან და IX საუკუნემდე გამოიყენებოდა რიგითი დროის ლიტურგიისათვის. დროთა განმავლობაში სხვა ფერებიც გაჩნდა, თუმცა ეკლესიაში ეს ერთსულოვნად ვერ მიიღო. მხოლოდ მე-12 საუკუნის ბოლოს შეცადნენ პირველად დასავლეთის ეკლესიაში ფერების გამოიყენების სტანდარტიზაციას, პაპ ინოკენტი III-ის (+1216) ინიციატივით, სწორედ მან დააკანონა, რომ ლიტურგიული ფერები უნდა შემდგარიყო თეთრი, მწვანე, წითელი და შავი ფერისაგან, რასაც მოგვანებით დაემატა ისფერი, როგორც შავის ვარიაცია სინანულის სიმბოლიკაში, რომელიც დაშვებულია დიდმარხვის მეოთხე კვირას (Laetare). ფერთა ეს არჩევანი მოტივირებული იყო სულიერი და სიმბოლური მნიშვნელობით, რაც დაკავშირებული უნდა ყოფილიყო ლიტურგიული კალენდრის შესაბამის დღესთან ან დროსთან. თუმცა ამ კანონის დანერგვას დიდი დრო დასჭირდა. 1570 წელს პიუს V-ის მიერ გამოქვეყნებულ იქნა Ordo Missae, რომლის მიხედვითაც დაწესდა ინოკენტი III-ის მიერ მითითებული ფერები, თუმცა ზოგ შემთხვევაში ნებადართული იყო უკვე დამკვიდრებული ფერების გამოყენებაც, მაგალითად, ვარდისფერი ასოცირდებოდა ისფერთან და იმავე ფერის ღია ტონალობად მიიჩნეოდა.

როგორი მდგომარეობაა დღეს?

ლიტურგიული ფერების გამოყენება რომაულ წესში განმტკიცდა 1969 წელს პავლე VI-ის ანდერძით და მოიცავს ოთხ ფერს: **თეთრი**, **მწვანეს**, **წითელსა და ისფერს**. ამ ფერებს ემატება სხვა ფერთა გამაც: ვარდისფერი, ლურჯი, ოქროსფერი და შავი. ამრიგად, ჩამოყალიბდა მრავალსაუკუნვანი ტრადიცია, რომელიც, გარდა რამდენიმე ვარიაციისა, უცვლელია რომაულ-ქრისტიანული ეკლესიის ისტორიაში, ყოველ შემთხვევაში, ბოლო ათასწლეულში.

რა აღნიშნავს ლიტურგიის განსხვავებული ფერები? რა დანიშნულება აქვთ მათ?

ფერი აღნიშნავს, სულ მცირე, ორ რამეს: პირველი: რადგანაც „მიმდა ეკლესია... ლიტურგიული წლის განმავლობაში ავრცელებს ქრისტეს ყველა საიდუმლოს და აღნიშნავს წმიდანთა შობის დღეებს“, რითაც ის აცოცხლებს უფლის ცხოვრებისა და ხსნის ისტორიის სხვადასხვა ეპიზოდებს: შობას, ალდგომას, ფერისცვალებას, ვნებას... და ა. შ. ამით ეკლესიას, ყოველ დღესასწაულზე, ფერების მეშვეობით, რომლებიც შეგვახსნებენ იესოს მაცხოვნებელ ქმედებებს და მათ საკრამენტულ ხასიათს, ღვთისმსახური და მორწმუნე შეჰეკა წმიდა საიდუმლოებებში. ასე მყარდება პარმონია ყველაფერში, რაც კი წმიდა წირვის შემადგენელი ნაწილია: სიტყვები, ჟესტები, ქმედებები და საგნები.

მეორე: მიუთითებს „ქრისტიანული ცხოვრების არსზე“, რომელიც აღსრულებული საიდუმლოებიდან მომდინარეობს, ანუ როგორ



უნდა ვიცხოვროთ, რომ ვიყოთ ნამდვილი ქრისტიანები? წირვისას ეპისკოპოსი, მღვდელი და დიაკონი ქრისტეთი იმოსებიან; ისინი მოქმედებენ და საუბრობენ არა საკუთარი სახელით, არამედ „in persona Christi“, და ყოველ მორნმუნეს უნდა ახსოვდეს, რომ ნათლობაში ქრისტეთი შეიმოსა (შდრ. გალატ. 3, 27). ლიტურგიული ფერები გვეხმარებიან რჩმენის საიდუმლოებების უკეთ აღმაში, ამავდროულად, შუქნიშნებივით მიგვანიშნებენ, რომ მივყვეთ ქრისტეს, შევიცნოთ მისი ცხოვრების საიდუმლოებები, რათა ჩვენი ცხოვრება უფრო მეტად დაემსგავს ქრისტეს ცხოვრებას.

ლიტურგიული ფერების შერჩევა ნამდვილი პედაგოგიკაა, რაც ასევე მეტყველებს ეკლესიის ინკულტურაციაზე, რადგან მან გაითავისა ის მნიშვნელობები, რასაც სხვადასხვა ფერს ანიჭებდნენ ის კულტურები, სადაც თავად აღმოცენდა და განვითარდა: ყველა კულტურაში ფერებს სიმბოლური დატვირთვა აქვს. ქრისტიანულ ლიტურგიაში სამოსლის (პლუვიალი, კაზულა, დალმატიკა, სტოლა...) ფერი მართლაც მეორეხარისხოვანი ელემენტია, მაგრამ არა უმნიშვნელო, რადგან ზუსტი სიმბოლური დატვირთვა აქვს და დაკავშირებულია ლიტურგიულ პერიოდთან ან დღესასწაულთან. განვიხილოთ ისინი სათითაოდ:

**მწვანე:** გამოიყენება რიგითი დროის (ჩვეულებრივი) წირვისას, როცა აღინიშნება არა რაიმე განსაკუთრებული საიდუმლო, არამედ ქრისტეს საერთო საიდუმლოებები: მისი ქადაგება, თავმდაბლო-



ბა, ხელმწიფება, ადამიანურობა, ლვთაებრიობა და მისია. ეს დრო ნაწილდება ლიტურგიული კალენდრის ორ პერიოდზე: ქრისტეს ნათლობასა (ნათლისლების პირველი კვირა, 6 იანვარი) და ნაცრისყრის ოთხშაბათს (რომელიც აღნიშნავს დიდმარხვის დაწყებას) შორის და შემდეგ, სულთმოფენობასა (აღდგომიდან 50-ე დღე) და ადვენტს შორის (შობამდე ოთხი კვირით ადრე). მწვანე ფერის სიმბოლიკა ასოცირდება ბუნებასა და მცენარეებთან. ის გვახსენებს ნაყოფიერებას, სიუხვეს, აყვავებასა და ენერგიას. და, შესაძლოა, სწორედ აქედან მომდინარეობს ამ ფერისათვის დამახასიათებელი იმედის გრძნობა: ეკლესიის ზრდის წიშანი და იმედინი მომავალი უფლის დაბრუნებისა და უკანასკნელ დღეს საბოლოო აღდგომისა.

**წითელი:** გამოიყენება ბზობის კვირასა და დიდ პარასკევს, უფლის უძგირფასესი სისხლისა და ხორცის დღესასწაულზე, ასევე, მოციქულების, მახარებლებისა და წმიდა მოწამეთა დღესასწაულებზე, წმიდა ნაწილების გამოსვენებისას, და ბოლოს, ჯვრის ამაღლების დღესასწაულზე. დღეს წითელი სიმბოლოა იესოს მიერ დაღვრილი სისხლისა, შეგვახსენებს იმ წუთებში განცდილ ვნებასა და ტკივილს. ამ მიზეზით ატარებენ წითელი ფერის სამოსს ქრისტესთვის შეწირული მოწამეების დღესასწაულზე. წითელი ასევე გამოიყენება სულთმოფენობის დღეს, როდესაც იხსენებენ მოცი-

ქულებზე სულინმიდის გადმოსვლას ცეცხლის ენების სახით. წითელი ფერი ამ შემთხვევაში სიმბოლოა ჩვენს გულებში დავანებული სულინმიდის ცეცხლისა და ძალისა. თუ მირონცხვა აღინიშნება, ამ დღის გარდა, ჩვეულებრივ, ატარებებს წითელ შესამოსელს. წითელი ასევე სიმბოლურად მიანიშნებს ძალაუფლებაზე, რამდენადაც ძალიან მდიდრული და კაშაბა ფერია, ის იყო იმპერატორთა ფერი და, ზოგადად, ძალაუფლების გამომსატველი. შესაძლოა, ამიტომაც ჩნდება წითელი ფერი პაპის დაერძიალვის მსახურებაზე, ისევე როგორც აღმოსავლეთის ეკლესიებში დაკრძალვის წირვაზე, წესი, რომელიც აქედან რომში გაცრცელდა.

**წითელი ფერი ამბროსისეულ წეში:** ამბროსისეული წესის ლიტურგიული ფერები განსხვავდება რომაული წესის ფერებისაგან. რაც შეეხება წითელ ფერს, ის მრავალ შემთხვევაში გამოიყენება, კერძოდ: დიდი ხუთშაბათის წირვისას, ქრისტეს სისხლისა და ხორცის დღესასწაულზე, სამღვდელო ხელდასხმაზე, პირველ ზიარებაზე, სწრულთა ზეთისცებების დროს, სულთმოფენობასა და საკათედრო ტაძრის კურთხევის წინადღის შორის.

**თეთრი:** თეთრი ფერი, ჩვეულებრივ, ასოცირდება მშვიდობასთან, სიმშვიდესთან, სიწმინდესთან ან ღვთაებრივთან, სინათლესთან, ღვთაებრივ დიდებასთან, სიხარულთან, მკვდრეთით აღდგომის



# საგანგებო ჩანართი

საიდუმლოზე დამყარებულ რწმენასთან; გავიხსენოთ, ფერისცვალების წმიდა თეთრი სამოსელი (შდრ. მათ. 17, 2), ისინი, რომლებიც მიჰყებიან კრავს თეთრით მოსილნი (შდრ. გამოცხ. 14), ქმნილები, რომლებიც „ნათლით არიან შემოსილნი“, ანუ ანგელოზები (ლუკ. 24, 4). თეთრ ფერს ასევე ვხედავთ აღდგომის უამისა და უფლის შობის დღესასწაულის მსახურებებზე; შემდგომ უფლის დღესასწაულებზე, ყოვლადწმიდა ღვთისმშობლის, წმიდა ანგელოზების, წმიდანების, რომლებიც არ ენამენ, ყოველთა წმიდათა დღესასწაულზე (1-ლი წოებერი), იოანე ნათლისმცემლის დღესასწაულზე (24 ივნისი), იოანე მახარებლის დღესასწაულზე (27 დეკემბერი), წმიდა პეტრეს კათედრის დღეზე (22 თებერვალი) და წმიდა პავლეს მოქცევის დღეზე (25 იანვარი)“ (იხ. IGMR, n. 346). ეს ფერი ასევე გამოიყენება ნათლობისა და ქორწინების საიდუმლოებების აღსასრულებლად.

სინამდვილეში, ეს არის ერთ-ერთი უპირატესი ფერი ლიტურგიულ შესამოსელში, რომელსაც ყოველდღიურად იყენებენ მღვდლები (ალბა, კომუ), მიუხედავად ლიტურგიული დროისა და მიმდინარე დღესასწაულისა.

**შავი:** გლოვის ფერია, შუა საუკუნეებში მას იყენებდნენ მონანიების დროების აღსანიშნავად. ტრენტოს კრებიდან მოყოლებული, შავი ფერი გამოიყენებოდა დიდ პარასკევს და გარდაცვლილთა მსახურებებზე. პავლე VI-ის რეფორმის შემდეგ მისი შეცვლა შეიძლებოდა ისფრით.

**ისფერი:** თავდაპირველად მას იყენებდნენ, როგორც შავის ფერის გამას. ისფერი დროთა განმავლობაში იქცა ლიტურგიულ ფერად

და გამოიყენებოდა ე. წ. „ძლიერი დროების“, ადვენტისა და მარხვის, და გარდაცვლილთა წირვებზე (რომაული მესალის ზოგადი ინსტრუქცია (IGMR), №346), რადგან შავი ფერი სიმკაცრის, სინანულის, სულიერი სიღრმისა და მომზადების სიმბოლოა. ისფერი მიიღება წითლისა და ლურჯის შეზავებით. ამ ნარევში ზოგიერთი ხედავდა წითელ ფერს, სიყვარულის სიმბოლოს, და ლურჯს, უკვდავების სიმბოლოს. სხვები უკავშირებდნენ ცას, რომელიც წარმოდგენილია ლურჯით და მინსა, წარმოდგენილს წითლით. ამგვარად, ისფერი მიცვალებულთა სხეულის წირვაზე ზებუნებრივი ხილვის, სიკვდილის წინაშე ღმერთთან სიახლოვის სიმბოლურ წინადისახება. ამავდროულად, „ძლიერ დროებში“ ეს ფერი შეგვახსენებს სინანულს, რომელისკენაც ეკლესია გვიხმობს და რომელიც სიმბოლოა მონანიებისა და ქრისტეს მოსვლისთვის მზადების უამისა.

**ლიტურგიული ვარიაციები და პრივილეგიები:** მოვარდისფრო, როგორც ისფრის ვარიაცია, გამოიყენება იმ ორი სანმოკლე შეჩერების დროს, რასაც ეკლესია იღებს მონანიების უამს. ამგვარად, ის სიმბოლურად გამოხატავს ისფრის განწმედას დამდეგი სიხარულის სამზადისში. ამ ფერის გამოიყენება შესაძლებელია წელიწადში ორჯერ, ადვენტის მესამე კვირას (Gaudete) და დიდმარხვის მეოთხე კვირას (Laetare).

**ყვითელი/ოქროსფერი:** ღვთაებრივი სინათლის, სამეფო ძალაუფლების სიმბოლოა, ოქროსფერი ან ყვითელი შეიძლება გამოიყენებულ იქნას ნებისმიერი ფერის ჩასანაცვლებლად, გარდა ისფრისა და შავი-

სა, თუმცა ის, ჩვეულებრივ, გამოიყენება მხოლოდ განსაკუთრებული მნიშვნელობის დღესასწაულზე.


**ცისფერი (ან ლურჯი):** შეიძლება გამოიყენებულ იქნას მხოლოდ ღვთისმშობლის დღესასწაულების დროს, როგორიცაა ზეცად აღყვანება ან უბინოდ ჩასხვა. ერთადერთი ფერი, რომელიც წარმოადგენს ნამდვილ ლიტურგიულ პრივილეგიას, მისი გამოიყენება ტრენტოს კრებამ დაუშვა მხოლოდ პორტუგალიაში, ესპანეთში, ამ ორი ქვეყნის ყოფილ ტერიტორიებზე, ბავარიის ყოფილ სამეფოში, ნეაპოლის ზოგიერთ ეკლესიაში და ბოლოს ფრანცისკელთა ორდენში, ისტორიულად მათ მიერ ღვთისმშობლის დოგმატის დაცვის გამო. ეს პრივილეგიები დღესაც ძალაშია.

არ შეგვიძლია დავასრულოთ ლიტურგიული ფერების ეს მოკლე მიმოხილვა, თუ არ გავიხსენებთ ორ სხვა ფერს, რომელიც გამოიყენებოდა, თუმცა იშვიათად, და, ფაქტობრივად, გაერა დღევანდელი ლიტურგიდან: ყავისფერი, რომელიც ისფრის ვარიაციად მიიჩნეოდა და, შესაბამისად, სინანულზე მიუთითებდა. მიუხედავად იმისა, რომ ეს ფერი დღეს აღარ გამოიყენება, ის მაინც რჩება ფრანცისკელთა და კარმელელთა ორდენების ჩვეულ ფერად, და

**რუხი (ან ნაცრისფერი):** რომელიც

სპეციფიკური იყო საფრანგეთისთვის და, კერძოდ, ლიონური წესისთვის. მას განსაკუთრებით იყენებდნენ ნაცრისყრის ოთხშაბათს. **დასასრულს,** არ შეგვიძლია არ გავიხსენოთ იესოს სიტყვები: „მე ვარ ნათელი წუთისოფლისა“ (იოან. 8,12). წმიდა წირვაში მონაწილეობით ჩვენ თავად ვხდებით სინათლე: „თქვენ ხართ წუთისოფლის ნათელი“ (მათ. 5,14). როგორც სინათლე აირევლება ცისარტყელას ფერებში (წითელი, ნარინჯისფერი, ყვითელი, მწვანე, ლურჯი, ინდიგო, ისფერი), ასევე ლიტურგიის ყველა ფერი არის გამოხატულება იმ ერთადერთი სინათლისა, რომელიც არის ქრისტე, რომელიც იშვა, მოკვდა და აღდგა, დაე, ჩვენი ყველდღიური ქრისტიანული ცხოვრება ქრისტესაგან გამომავალი ბრწყინვალე ნათლით შეიფეროს და გახდეს მისი ნათელი მოწმობა.





## მოხალისეობა

16 ივლისს საქველმოქმედო ფონდ „საქართველოს კარიტას“ ესტუმრა ქალაქ პოზნანის ადამ მიცვევიჩის სახელობის უნივერსიტეტის ათი მოხალისე სტუდენტი, რომლებიც ორი კვირის განმავლობაში ჩართულები იყვნენ ქუთაისის ახალგაზრდული დღის ცენტრის საქმიანობაში. საგანმანათლებლო პროცესში ახალგაზრდების მხარდაჭერასთან ერთად, მოხალისეებმა ახალგაზრდული ცენტრის, „გვირილას“ ტერიტორიის გალამაზებაზეც იზრუნეს.

საქართველოს კარიტასის მოხალისე, ნათია სიდამონიძე აღნიშნავს: „მოხალისეობა ჩემთვის არის არა მხოლოდ სხვების დახმარება, არამედ საკუთარი თავის პოვნის გზაც. თითოეული ჩვენგანი სამყაროში საკუთარი ფერის დამატებას ცდილობს გარკვეული ქმედებით. მოხალისეობა არის ხიდი, რომელიც

მაკავშირებს სხვა ადამიანებთან და მაძლევს შესაძლებლობას, ვაჩუქო მათ თუნდაც ერთი დასამახსოვრებელი დღე. ეს არის მოგზაურობა, რომელიც მაძლევს ახალ გამოცდილებებს. საქართველოს კარიტასში მოხალისეობით, პირველ რიგში, ვისწავლე გუნდური მუშაობა. სხვა მოხალისეების გამოცდილების გაზიარება და აქტივობების ერთად დაგეგმვა დამატებითი მოტივაციაა ჩემთვის. ასევე, განმივითარდა ადამიანების ემოციური მდგომარეობისა და საჭიროებების უკეთესად აღქმის უნარი, რაც მემარება უფრო ეფექტურად ვიმოქმედო ინდივიდუალურ სიტუაციებში“.

დიდი მადლობა გვინდა გადავუხადოთ თითოეულ მოხალისეს ახალგაზრდული დღის ცენტრის საქმიანობაში აქტიური ჩართულობისათვის.



# ანჯელიკა ტირაბოსჩი

ანჯელიკა ტირაბოსჩი (Angelica Tiraboschi), 19 წლის გოგონამ პონტიროლო ნუოვოდან (Pontirolo Nuovo - ბერგამოს პროვინცია და მილანის ეპარქია), ღვთის ბაღის მშვენიერმა ყვავილმა, ნარუშლელი ხსოვნა დატოვა ყველას გულში თავისი უბრალოებითა და სიცოცხლის სიხარულით, თავისი საოცარი მოწამეობით. იგი დაიბადა 1995 წლის 22 ნოემბერს ტრევილიოში. ერთი წლის შემდეგ მოინათლა წმიდა მიქაელ მთავარანგელოზის (San Michele Arcangelo) ეკლესიაში. 2005 წლის 29 მაისს 10 წლის ანჯელიკამ პირველი ზიარება მიიღო. ამავე წელს, მამის რჩევით, იგი შეუერთდა ქარიზმატულ საკურებულოს „შალომ“ - განახლება სულინმიდაში, რომლის მიზანი გამოხატული იყო სიტყვებით: „ყოველი, ვინც მოუხმობს უფალს, იხსნება“ (რომ. 10, 13). აქ ისნავლა ანჯელიკამ რწმენით ცხოვრება. მან მალევე გააცნობიერა ჯვრის მნიშვნელობა, რომელიც მიიღო და ბოლომდე ზიდა რწმენისა და ლოცვის ძალით, რამაც საშუალება მისცა მას, აზრი მიეცა ყოველი განსაცდელისა და ტანჯვისათვის. მისთვის დამასიათებელ ლამაზ ღიმილში ირეკლებოდა ნდობა და ძალა, რომელიც მან აღმოაჩინა „ძვირფას მარგალიტში“, მისი ცხოვრების მთავარ წყაროში. „უფალო, არ გავდიდგულებულვარ და თვალი მაღლა არ ამინევია; და არც მივლია განდიდებისა და ჩემთვის მიუწვდომლისაკენ. არამედ ვაწყნარებდი და ვაყუჩებდი ჩემს სულს, ვით დედის ძუძუდან მოწყვეტილ ყრმას“ (ფსალმ. 130, 1-2) - ეს სიტყვები ანჯელიკასთვის იყო ერთ-ერთი ყველაზე მნიშვნელოვანი.

2014 წლის ივნისში, როდესაც იგი იმყოფებოდა საკურებულოს ბავშვთა ბანაკში Summer Recreation

Centre ორატორული ხელოვნების მასწავლებლად, ერთ-ერთმა ბავშვმა მიირბინა მასთან და გადაეხვია, უცებ ანჯელიკამ ტკივილი იგრძნო გულმკერდის არეში... ანალიზების შედეგი თავზარდამცემი აღმოჩნდა: სარძევე ჯირკვლების კიბო. აქედან იწყება ანჯელიკას მძიმე განსაცდელი. დიდი რწმენა აძლევს მას ენით აუნერელ ძალას, ისე რომ, ახლობლებს თავად ანუგეშებს: „ჩვენ წლები კი არ უნდა მივცეთ სიცოცხლეს, არამედ სიცოცხლე - წლებს“. იგი მილანში გაივლის ქიმიოთერაპიის კურსს, რასაც მოჰყება იპერაცია. ექიმები ურჩევენ რამდენიმე სეანსს ფსიქოლოგთან, რათა დაეხმაროს მას ამ რთულ და მტანჯველ გზაზე, მაგრამ ანჯელიკა თავაზიანად პასუხობს: „მე მყავს უფრო ძლიერი ფსიქოლოგი, ვიდრე თქვენია: იქსო!“ შემდეგ თავის დღიურში დაწერს: „უკეთესია დაყრდნობა უფალზე, ვიდრე დაიმედება ადამიანზე. დასჯით დამსაჯა უფალმა, სიკვდილს კი არ მიმცა. ადიდეთ უფალი, რადგან კეთილია, რადგან უუნისამდეა წყალობა მისი“ (ფსალმ. 117, 8-18-29). „ასეთია ნება ღვთისა“, - ეუბნება იგი მარჩელოს, საყვარელ მამას, რომელსაც ყველაზე მეტად იყო მინდობილი. პირველ ხანებში, როცა სიმსივნე განკურნებადი ჩანდა, იგი ანუგეშებდა მას შემდეგი სიტყვებით: „მამა, ნუ განიცდი: მე შევძლებ ჯვრის ზიდვას... ვთხოვ უფალს, მომცეს ამისთვის ძალა“. მას ძალას აძლევდნენ ასევე რწმენით სავსე ახალგაზრდები, რომელთაც ასეთივე მტანჯველი გზა განვლეს: ნეტარი კიარა ბადანო, ჯულია გაბრიელი, 15 წლის გოგონა ბერგამოდან, 2011 წელს გარდაცვლილი ავთვისებიანი სიმსივნით; მისი წიგნი „კავი ზეცის შუაგულში“, რომელიც მისი სიკვდილის შემდეგ გამოიცა, ძალიან დაეხმარა ანჯელიკას.


# სახარების სიხარულის მოწვევი ვარიაცია

2015 წლის ივნისში თითქოს ყველაფერი ნორმის ფარგლებში იყო, მაგრამ აგვისტოს შუა რიცხვების შემდეგ ტომოგრაფიამ აჩვენა კანის მხოლოდ მცირე ანთება: ოცი დღის შემდეგ, როცა ანჯელიკა მთაში იმყოფებოდა, დაავადებამ კვლავ იჩინა თავი. შინ დაბრუნებულს თავის ტკივილი და ლებინება დაეწყო. და მაინც, ყველაფრის მოუხედავად, ანჯელიკა ცდილობდა დაეგეგმა თავისი მომავალი. იგი შევიდა მილანის უნივერსიტეტში, სადაც სექტემბერში უნდა ჩაებარებინა მისაღები გამოცდა სტომატოლოგიური ჰიგიენის კურსზე. რამდენიმე დღის შემდეგ კი ძალა მოიკრიბა და საწილიდან ადგა, რათა ხელი მოეწერა კონტრაქტზე სუპერმარკეტში მოლარედ სამუშაოდ. მაგრამ შემდგომმა ანალიზებმა აჩვენეს, რომ მეტასტაზებმა მიაღწიეს თავის ტვინის გარსში, ანჯელიკა კი მამას ისევ ამხნევებდა: „ბედნიერი ვარ, რადგან ისინი, ვინც მიყვარს, ყოველთვის ჩემთან არიან, რადგან ვგრძნობ მის ცოცხალ მყოფობას ჩემში, ვინც ძალას მაძლევს... ამიტომ ჩვენ უნდა ვიყოთ ძლიერი და სულით არ დავეცეთ, რადგან შიშით აღსავსე ბნელი გვირაბის შემდეგ სინათლე გამოჩნდება... რადგან არ არსებობს ბოროტება, რომელიც არ გადაიქცევა სიკეთედ... ასე რომ, გიყვარდეს სიცოცხლისა და სიყვარულის უფალი... იცხოვრონ ნიშნავს მიხვიდე იქ, სადაც ყველაფერი იწყება, გიყვარდეს - ნიშნავს, ნახვიდე იქით, სადაც არაფერი მთავრდება“.

მარჩელომ გადაწყვიტა შვებულება აეღო, რათა მეტი დრო ჰქონოდა ქალიშვილის მოსავლელად. 29 აგვისტოს დილით იგი ბერგამოში იმყოფებოდა საბუთებზე ხელის მოსაწერად. დაიწყო თავისი გვარის წერა „ტირაბ...“ და უცებ კანკალმა აიტანა. რამდენიმე წამში ტელეფონმაც დარეკა: საავადმყოფოდან რეკავდნენ... ნახევარ საათში მივიდა მარჩელო მეუღლესთან ერთად მიღანის ონკოლოგიურ საავადმყოფოში, მაგრამ ანჯელიკა უკვე გარდაცვლილიყო, სამიოდე თვეში მას ოცი წელი შეუსრულდებოდა... საწოლზე მშვიდად მწოლარე, ბაგეზე ღიმილით, ოდნავ გაშლილი მკლავებითა და სავარდით ხელში იგი გაეშურა თავის ზეციურ საქმროსთან: იესოსთან. ამ „შეხვედრის“ წინა დღეს ჯგუფ „შალომის“ წევრები შეიკრიბნენ, რათა მონაწილეობა მიეღოთ ევქარისტიის თაყვანისცემაში (ადორაცია) და ელოცათ ანჯელიკასთვის, გაისმა წინასწარმეტყველური სიტყვები: „აჲა, ნეფე მოდის, გამოდით შესაგებებლად!..“

ანჯელიკას მონამეობა, მისი ჩანაწერები არის უდიდესი სულიერი ანდერი და ძვირფასი მემკვიდრეობა, რომელიც მან დაგვიტოვა, ნათელი და კაშკაშა შუქი მიზნისაკენ სავალ გზაზე... მისი საფლავის ქვაზე ამოკვეთილია სიტყვები, რომელიც მან დღიურში ჩაწერა: „მწამს შენი, იესო, შენ გეკუთვნი, უფალო. მხოლოდ შენთვის ვიკოცხლებ, მხოლოდ შენთვის ვიგალობებ მთელი გულით, შენი ვიქები სამუდამოდ და გამოგყვები, სადაც არ უნდა იმყოფებოდე, ცრემლებსა და სიხარულში... მე მწამს შენი... ჩვენ არ შეგვიძლია შევცვალოთ ქარის მიმართულება, მაგრამ შეგვიძლია გავშალოთ აფრები ისე, რომ მივაღწიოთ ჩვენი დანიშნულების ადგილს ქრისტე იესოში, ჩვენს უფალში“. დიახ, მისი ცხოვრების ნავი ყოველთვის მზად იყო, რადგან მისი შუქურა სწორედ მის წინაშე იმყოფებოდა. მას უბრალოდ უნდა გაეშალა იალქანი, რათა მიეღწია დანიშნულების ადგილას - იესო ქრისტეში.

ანჯელიკა განისვენებს პონტიროლო ნუოვოს სასაფლაოზე, იმ ქალაქში, სადაც იგი მშობლებთან და ძმა სიმონესთან ერთად ცხოვრობდა. მის საფლავზე გამოსახულია წყალზე მიმავალი გულმოწყალე იესო, რომლის შესახვედრადაც მიემართება იალქნიანი ნავი - გოგონას სულის სიმბოლო.



## პათოლიკობა სამხრეთ-დასავლეთ საქართველოში


სოლომონ ასლანიშვილ-ბავრელის ერთ-ერთ წერილში საყურადღებო ინფორმაციაა დაცული სამხრეთ-დასავლეთ საქართველოში მცხოვრებ ქართველებში კათოლიკობის გავრცელების შესახებ. წერილი შედარებით ვრცელია და ამიტომ მცირე ამონარიდებს შემოგთავაზებთ: „ეს მოხდა 1723 წელსა სოფელ ველში, არტაანის საფაშოში. აქ სახლობდნენ ქართველები, როცხვით სამას კომლამდე... ერთხელ, როდესაც ამაღლების დღესასწაულს ზეიმობდნენ, მათ ესტუმრათ ერთი უცხოელი კაცი. მან გამოუცხადა ხალხს, რომ ის არის ხელობით ექიმი. სტუმარი მაშინათვე მიიყვანეს მღვდელთან, რომელსაც ერქვა სიმონი. მღვდელმა სტუმარი სიხარულით მიიღო და თავის სახლში ოთახი დაუთმო. იმ დღიდან ამ უცხოელმა დაიწყო თავისი საქმიანობა საკვირველის გულმოდგინებით, მეტადრე კი ჰავიდაში. არჩენდა ყველას ავადმყოფობისაგან უსასყიდლოთ, უვლიდა ავადმყოფებს, არ არჩევდა მდიდარს ღარიბისაგან“. ამასთანავე, მასპინძელი მღვდლის ოჯახმა ერთ უცნაურობას მიაქცია ყურადღება, უცხოელი ადამიანი ყოველ დილით რაღაც დროით ოთახში განმარტოვდებოდა. ცნობისმოყვარეობამ თავისი გაიტანა, მასპინძელმა კედლის ჭუჭრუტანიდან დაუწყო თვალთვალი და ნახა, რომ უცხოელი ექიმი სამღვდელო სამოსს გადაიცვამდა და მაგიდაზე დადგმული ბარძიმის წინაშე მხურვალედ ლოცულობდა. როცა ეს გამოაშკარავდა და მასპინძელმა მღვდელმა სტუმარს ჰქითხა, თუ ვინ იყო სინამდვილეში, მან აღარ დამალა და გაუმხილა, რომ რომიდან გამოგზავნილი მისიონერი გახდათ. „რადგან ქართული ენა საკმაოდ შესწავლილი ჰქონდა მას და ხალხისგან დიდი პატივისცემა შეძენილი კეთილის სათნოებით სავსე ხასიათით, მან დაიწყო გულმხურვალედ ქადაგება კათოლიკობის სარწმუნოებისა. ჯერ მიაღებინა მღვდელს, მის სახლობას და შემდეგ მთელს სოფელს. ასე, ერთი მისიონერის ბრძნული მეცადინეობით, რომის ეკლესიამ შეიძინა სამასამდე კომლი კეთილმორწმუნე ერი. ეს პატრი-მისიონერი ყოფილა სახელად პოლიკარპი“ („ჯვარი ვაზისა“, 1906, N 8-9. გვ. 6-8). თუმცა, რასაც მოსახლეობის ზეპირი გადმოცემის საფუძველზე აგვინერს ს. ასლანიშვილ-ბავრელი, დოკუმენტური მასალით არ დასტურდება. მიხეილ თამარაშვილის მიერ მოპოვებული საარქივო წყაროების თანახმად, კონსტანტინოპოლიდან კაპუცინი მამა პოლიკარპო კონსტანტინოპოლის

კათოლიკე ეპისკოპოსის დავალებით დროებით გაიგზავნა სოფელ ველში, იქ გაჩენილი სხვადასხვა კონფლიქტის მოსაგვარებლად. მამა პოლიკარპო ველელებს ისე მოსწონებიათ, რომ მისი სამუდამოდ დატოვება გადაუწყვეტიათ. 1787 წელს ეპისკოპოსს კოლექტიური წერილითაც მიმართეს მ. პოლიკარპოს ველში დატოვების თხოვნით (მ. თამარაშვილი, ისტორია კათოლიკობისა ქართველთა შორის“, თბილისი 1902. გვ. 475).

აქ მოთხოვთ ამბავი იმაზე მეტყველებს, რომ კაპუცინი მამა პოლიკარპოს ველში მსახურებას ისეთი კვალი დაუტოვებია, რომ მისი ხსოვნა ლეგენდაში გადასულა. 1828 წლის რუსეთ-ოსმალეთის ომის შემდგომ ახალციხე რუსეთის იმპერიის შემაგენლობაში აღმოჩნდა, ხოლო სოფელი ველი ოსმალეთის იურისდიქციაში დარჩა, რამაც შეაფერსა ახალციხიდან კაპუცინი მამების ველში და სხვა ქართველი კათოლიკებით დასახლებულ სოფლებში მივლინებები. ამ ფაქტმა უარყოფითი როლი შეასრულა ეთნიკურად ქართველ კათოლიკეთა ცხოვრებაში, რადგან ახალციხილი კაპუცინები ქართულ ენაზე ატარებდნენ მსახურებას, მათ შემდეგ კი ოსმალეთის ტერიტორიაზე მყოფი ქართველი კათოლიკები სომხურ-კათოლიკური ტიპიკონის სამღვდელოების გავლენის ქვეშ მოექცნენ. საეკლესიო მსახურებაში სომხური ენის შემოტანამ თანდათანობით ქართული ენის შევიწროება გამოიწვია და ნახევარი საუკუნის შემდგომ, ანუ როდესაც ართვინ-არდაპანი რუსეთის იმპერიაში აღმოჩნდა, იქაურ ქართველ კათოლიკებს, მსგავსად მუსლიმი ქართველებისა, თითქმის დავიწყებული ჰქონდათ მშობლიური ენა და მისი ხელახლი შესწავლა უწევდათ. აქვე აღნიშნავ, რომ, მართალია, 1828 წელს, რუსეთ-ოსმალეთის ომის შემდგომ, ველელები ახალქალაქის მაზრის სოფლებში: ბარკაში, ტურცებში, ხულგუმოსა და კართიკამში გადმოსახლდნენ, მაგრამ იქაც უკეთესობა არ დახვედრიათ. ცალკე მართლმადიდებელი სამღვდელოება აიძულებდა მათ კათოლიკობის უარყოფას, მეორე მხრივ კი, რუსეთის იმპერიისაგან ხელშეწყობილი სომხური წესის კათოლიკე სამღვდელოება მათი ეროვნული იდენტობის განადგურებით იყო დაკავებული, რამაც, საბოლოო ჯამში, უარყოფითი შედეგი გამოიღო.

ართვინში ბინადარი კათოლიკების შესახებ მასალებს აქვეყნებდა ცნობილი პუბლიცისტი ზაქარია ჭიჭინაძეც: „ართვინი ბათუმიდან 90 ვერ-

# ისტორიის ფურცლები ხუგიან გარდაველიძე



სის მანძილზე სძევს. მცხოვრებთა რიცხვი 2000 კომლამდეა, უმეტესად კათოლიკენი, გრიგორიანები და ქართველი მაჰმადიანები მცირეა. კათოლიკებში დიდი ძალი ქართველი კათოლიკენი მოიპოვებიან, მაგრამ ამათში ქართული ენა დავიწყებულია, ისევე როგორც ქართველ მაჰმადიანებში. დღეს ართვინში მცხოვრებმა ქართველმა კათოლიკებმა და ქართველმა მაჰმადიანებმა სიტყვა, კრინტი აღარ იციან თავიანთის დედა-ენისა... ქალაქის მოხელეთა და მომსახურეთა შორის ქართველებიც არიან და ამიტომ ბევრ კათოლიკეს დაუსწავლია ქართული ლაპარაკი... ართვინში კათოლიკეთ აქვთ ოთხი ეკლესია. ამათგან კორძულის ეკლესია ყველაზედ ძველია. ამ ეკლესიას აქვს ქართული გუჯრებიც, რომლებიც 1501 წ. პაპ სიქსტო მესამეს დაუმტკიცებია. გუჯრები მამულის შენახვის საქმეს შეეხება, იმ დროს კათოლიკეთ კორძულის ეკლესიისათვის მამულები შეუნირავთ და შენირვის გუჯრებიც ქართულად უწერიათ (1501 წელს სამცხე-საათაბაგო ფორმალურ დამოუკიდებლობას ინარჩუნებდა და არც ქარ-

თლის მეფეს, არც ოსმალეთის სულთანს არ ექვემდებარებოდა. 6. ბ.). აյ კათოლიკეთა-გან ბევრმა იციან, რომ ისინი ქართველთა შთამომავლები არიან. ასეთი მოხუცნი მეც ვნახე და აღიარეს, რომ ძველად ქართველი კათოლიკენი ვიყავითო (ზ.ჭ. „ივერია“, N198, 1901, 13 სექტემბერი, გვ. 3-4).

ქართულ პრესაში ბოლო ინფორმაციები ართვინის შესახებ 1920-21 წლებით თარიღდება. ამ პერიოდში დემოკრატიულ საქართველოს იმდენი საგარეო თუ სამინაო პრობლემა ანუხებდა, რომ სამხრეთ-დასავლეთის მხარეს დიდ ყურადღებას ვეღარ უთმობდა. ამას ადასტურებს ამ რეგიონის შესახებ პრესაში გამოქვეყნებული ინფორმაციების განსაკუთრებული სიმწირე. გასათვალისწინებელია ის გარემოებაც, რომ საქართველოს დამოუკიდებლობის გამოცხადების მომენტისთვის ამ რეგიონზე სახელმწიფო იურისდიქცია დაკარგული იყო და მხოლოდ ინგლისელთა დახმარებით გახდა შესაძლებელი ამ მხარეზე ნაწილობრივი კონტროლის მოპოვება. აი, მწირი ინფორმაციის ერთი მაგალითი: „ინგლისელებთან შეთანხმებით ჩვენმა ჯარმა ქალაქი ართვინი დაიკავა“ („რკინიგზელი“, 20. 10 აპრილი, 1920 წ. გვ. 4). 1921 წლის მარტში საბჭოთა რუსეთმა მოახდინა საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის ოკუპაცია. შემდგომ ბოლშევიკებმა ოსმალეთს გადასცეს სამუსლიმი საქართველოს თითქმის ორი მესამედი - არდაპანისა და ართვინის ოლქები, და რომ არა ქართველ სამხედროთა სიმამაცე, შესაძლოა, ბათუმის ოლქიც საქართველოს საზღვრის მიღმა აღმოჩენილიყო.

გასაბჭოებული საქართველოს დროის ბოლო ცნობები ართვინის შესახებ: „ბათომის რევკომმა მიიღო საჩივარი ართვინის ოლქის მოსახლეობისგან (სავარაუდოდ, ქრისტიანებისაგან. 6.ბ.), რომელთაც ავინწროებს ოსმალეთის ხელისუფლება“ („კავკასიის კომუნა“, 54. 4 მაისი 1921 წ. გვ. 1). „საორგანიზაციო საქმის მიხედვით ართვინში უნდა იყოს შრომის ინსპექცია, რომელშიც უნდა შევიდეს კვარცხალის სპილენძის ქარხანა, მაგრამ ართვინი და კვარცხანის სპილენძის ქარხანა ოსმალოების ხელშია. კვარცხანში ოსმალოს გუბერნატორია და ეს რაიონი სქემიდან უნდა ამოიშალოს“ („მუშის შრომა“, 11. 9 ივლისი 1921 წ. გვ. 1). სამწუხაროდ, ეს გახლავთ უკანასკნელი ინფორმაცია ქართულ პრესაში ართვინის შესახებს.

დასასრული, დასაწყისი „საბბა“ #7 (343)

# ახალგაზრდული გვერდი

## საზაფხულო ბანაპი ბაკურიანში

ამ წლის 15-20 აგვისტოს ბაკურიანში მოეწყო ახალგაზრდული ბანაკი, რომელშიც მონაწილეობდნენ თბილისის მარიამის ზეცად აღყვანების საკათედრო ტაძრისა და წმიდა მოციქულთა პეტრესა და პავლეს ეკლესის ახალგაზრდები მამა მიხეილ სურმავას ხელმძღვანელობით. ბანაკის თემა იყო მოტივაცია ახალგაზრდებში. ამ თემაზე სასაუბროდ მოწვეული იყვნენ სტუმრები: საქართველოს კათოლიკე ახალგაზრების ცენტრის წარმომადგენელი პავლე ხითაროვი, რომელმაც განიხილა მოტივაცია და მასთან დაკავშირებული პრობლემები ახალგაზრდებში. მან ყურადღება გაამახვილა მოტივაციის მნიშვნელობაზე ეკლესიურ ჭრილში. ახალგაზრებს საშუალება ჰქონდათ ინდივიდუალურად ემუშავათ შეხვედრის მთავარ თემაზე და გაეაზრებინათ, თუ რამდენად მნიშვნელოვანია მოტივაცის ქონა მათ ასაკში.

ასევე, ბანაკის ერთ-ერთი სპიკერი გახლდათ საქართველოში რომიდან ახლად დაბრუნებული

მამა კონსტანტინე აკოფაშვილი. მან ისაუბრა მოტივაციის, რწმენისა და განათლების კავშირზე; ახალგაზრდებთან ერთად იმსჯელა შეხვედრის თემაზე და 15-დან 21 წლამდე ახალგაზრდებს კიდევ ერთხელ შეახსენა, თუ რამდენად მნიშვნელოვანია განათლების მიღება ყველა სფეროში. ნიკოლაი ტელინკევიჩმა, რომელიც ამ დღეების განმავლობაში იმყოფებოდა ბანაკში, ახალგაზრდებს გაუზიარა თავისი ისტორია, თუ როგორ ირწმუნა ღმერთი.

გარდა ამ შეხვედრებისა, ჩვენი ბანაკი დატვირთული იყო სხვადასხვა გასართობი და ჯგუფური აქტივობით ახალგაზრდების ერთმანეთთან დასახლოებლად. ამ მიზნით ბაკურიანში შევარჩიეთ თავშეყრის სხვადასხვა ადგილი, ცენტრალური პარკი და ა. შ. ბანაკი ასევე გამოირჩიოდა გასვლითი აქტივობებით. ამ ფარგლებში მოვინახულეთ ბორჯომის ცენტრალური პარკი. დავსახეთ მომავალი წლის გეგმაც.

\_\_\_\_\_





## წმიდა იანუარიუსის ფუნთუშები

უძველეს წყაროდ, სადაც დაწვრილებითაა მოთხოვილი წმიდა იანუარიუსის (ლათ. Januarius, 275-305) ცხოვრებისა და მონამებრივი აღსასრულის შესახებ, მიიჩნევა „მონამების აქტები“ („Acta bononiensis“, VI-VII ს.), რომლის თანახმად, იანუარიუსი წარმოშობით არის ტოკრატიული ოჯახიდან იყო, ვერ კიდევ ყმაწვილი გახდა ქრისტიანი, მოგვიანებით კი - ბენევენტოს პირველი ეპისკოპოსი. ქრისტიანთა დიდი დევნის პერიოდში, იმპერატორ დიოკლიტიანეს დროს, მას თავი მოკვეთეს. წმიდა იანუარიუსი ნეპოლის ზეციურ მფარველად მიიჩნევა, ლეგენდის თანახმად, მან ქალაქი იხსნა ვულკან ვეზუვის ამოფრქვევისაგან.

19 სექტემბერს, მისი მოხსენიების დღეს, ნეპოლიში ამზადებენ დესერტს: Ciambelle di San Gennaro (წმიდა იანუარიუსის ფუნთუშები). ეს რგოლის ფორმის საკონდიტრო ნაწარმი, რომელიც მზადდება ბისკვიტის ცომისაგან, ლიმონის წვენით, საუცხოოსაუზმისათვის. რეცეპტი ძალიან მარტივია:


### ინგრეზიერები

- 250 გ. პურის ფქვილი
- 125 მლ. წყალი
- 7 გ. ახალი ლუდის საფუარი
- 80 გ. ნალების კარაქი
- 25 გ. შაქარი

### მოზადება

გააზავეთ საფუარი წყალში, დაუმატეთ შაქარი, ფქვილი და მოზილეთ, შემდეგ დაუმატეთ ნალების კარაქი და ყველაფერი კარგად აურიეთ. ანდა, შეგიძლიათ შეიძინოთ პურის ცომი და დაუმატოთ დანარჩენი ინგრედიენტები. გუნდა მოათავსეთ თას-ში და გააჩერეთ დაახლოებით 2-3 საათის განმავლობაში, სანამ არ აფუვდება. შემდეგ ცომი გაყავით რვა-ათ ნაწილად, ან კიდევ უფრო მეტად, თუ გსურთ, რომ უფრო პატარა იყოს. ყოველი ნაწილის ბოლოები შეაერთეთ, ისე რომ, მიიღოთ რგოლის ფორმა. მოათავსეთ საცხობ ტაფაზე, შედგით 180 გრადუსზე გახურებულ ლუმელში და გამოაცხვეთ 20 წუთის განმავლობაში.

## ბრაზილიალი საეიტბორდის თლიმაზიაზე სახელმწიფო ციფრულისთვის ჩასთხაბის ენა გამოიყენა




28 ივნისს ქალთა ქუჩის სკეიტბორდის ფინალში 16 წლის ბრაზილიელმა რაისა ლეალმა ბრინ-

ჯაოს მედალი მოიპოვა. შეჯიბრის დროს მან კამერას გაუღიმა და უესტების ენით თქვა ციტატა ითანხმება: „მე ვარ გზა, ჭეშმარიტება და სიცოცხლე“. ეს უესტი საერთაშორისო ოლიმპიური კომიტეტის (IOC) ზოგიერთმა წევრმა და კომენტატორმა „მიუღებლად“ მიიჩნია. რწმენის ასეთ გამოხატვას ყურადღება მიექცა, რადგან საფრანგეთის სეკულარიზმის პრინციპის გამო ფრანგ ოლიმპიელებს რელიგიური სიმბოლოების ჩვენება ეკრძალებათ. ოლიმპიადაზე შესრულებული რელიგიური უესტის შესახებ ლეალმა ბრაზილიურ მედია UOL-ს განუცხადა: „მე ქრისტიანი ვარ და ნამდვილად მწამს ღმერთი. ვთხოვე ღმერთს ძალა და ამ გზავნილით ყველას ვაჩვენე, რომ ღმერთი ნამდვილად არის გზა, ჭეშმარიტება და სიცოცხლე“. გამარჯვების მომდევნო დღეს კი, 29 ივნისს, სეკულიტორდისტი ინსტაგრამის საკუთარ გვერდზე გამოაქვეყნა ციტატა იესო ნავეს ძის წიგნიდან: „ხომ ჩაგაგონე, გამაგრდი, გამხნევდი, ნუ შედრკები და ნუ შეშინდები-მეთქი“ (1, 9).

## რელიგიათაშორისი ლოცვა თლიმაზიაზე მშვიდობისა და ძმური ერთობისათვის

პირველი რელიგიათაშორისი ლოცვიდან 100 წლის შემდეგ პარიზის ღვთისმშობლის ტაძრის ეზოში გაიმართა ცერემონია, რომელმაც ხაზი გაუსვა ოლიმპიურ თამაშებზე დამსწრე სხვადასხვა აღმსარებლობის ადამიანებს შორის მშვიდობისა და ძმობის საკითხს. საუბრის მთავარი თემა იყო: „როგორ უკავშირდება სპორტი ჩვენი კაცობრიობის საუკეთესო თვისებებს?“ შეხვედრაში მონაწილეობდნენ ხუთი ძირითადი რელიგიის: ქრისტიანული, ისლამის, იუდაიზმის, ბუდიზმისა და ინდუიზმის წარმომადგენლები. დამსწრეთა შორის იყო პროვანსის, დინის ეპარქიის ეპისკოპოსი ემანუელ გობილარდი, რომელიც ოლიმპიურ თამაშებზე პაპ ფრანცისკეს სპეციალური წარმომადგენელია.

ეს ღონისძიება იყო ერთგვარი გახსენება 1924 წლის 5 აგვისტოს ოლიმპიური თამაშების დროს გამართული შეხვედრისა, რომელიც ასევე ღვთისმშობლის საკათედრო ტაძარში მოეწყო და მაშინაც სხვადასხვა რელიგიის წარმომადგენლები ესწრებოდნენ მას. იმ პერიოდში



მსგავსი ტიპის შეხვედრები სიახლე იყო. ერთეული პარიზული გაზეთი წერდა: „ამ დილით ღმერთმა მოახდინა სასწაული. მან შეკრიბა ქრისტიანები, ბუდისტები და ებრაელები თავის საკურთხეველში“. ეპისკოპოსმა გობილარმა აღნიშნა, რომ „ის, რაც ერთი საუკუნის წინ მოხდა, დღესაც აქტუალურია და გამოხატავს მშვიდობისა და ძმობის სურვილს“.

## დაიბეჭდა „ლოტისმშობლის ლითანია“



წინასიტყვაობაში, რომელიც ეკუთვნის ლათინ კათოლიკეთა კავკასიის სამოციქულო ადმინისტრატორს, მეუფე ჯუზეპე პაზოტოს, ვკითხულობთ: „თბილისის წმიდა მარიამის ზეცად აღყვანების კათოლიკურ საკათედრო ტაძარში რამდენჯერ მიფიქრია, როგორ შეიძლებოდა ჭერის იმ ოცდაოთხი კესონის შევსება, რომელიც ორ რიგად მიუყვება მთელ ეკლესიას აფსიდზე გამოსახული მფარველის, ზეცად აღმავალი ღვთისმშობლის ცენტრალურ ფრესკამდე. ერთ ღლესაც სიხარულით გამინათდა გონება: აქ ხომ მარიამის ლიტანიები შეგვიძლია განვალაგოთ!

ახალგაზრდობაში ლიტანიები არასდროს მიზიდავდა განსაკუთრებით, მაგრამ შემდეგ მივხვდი, რომ თავიანთი სიმარტივითა და გამეორებით

მათ შევყავართ დახსნის დიად საიდუმლოში. აბა, სცადეთ და წარმოიდგინეთ ლიტანიები, როგორც ერთი მოზაიკის უამრავი კენჭი, ან მრავალწახნაგას სხვადასხვა მხარე, რომლებიც სხვადასხვა კუთხიდან და პერსპექტივიდან დაგვანახებს ყოვლადწმიდა მარიამს, რომელიც ღმერთმა აირჩია თავისი ძის დედად: ჩვენნაირი, და ამავე დროს, ჩვენგან ესოდენ განსხვავებული არსება, მარიამ ნაზარევ-ელი. ეს კი ესოდენ მშვენიერია!

აი, ყოველგვარი პრეტენზის გარეშე, მცირე დახმარება, რათა სახლში წავიყოლოთ ეს ლიტანიები, დახმარება, თითოეული მოწოდების უკეთ გასაგებად და ჩვენი სიყვარულის გამოსახატად მარიამისადმი — იმ ქალის საიდუმლოში ლოცვით შესვლით, რომელიც ჯერ გახდა დედა ღმრთისა, ახლა კი ჩვენი დედაცაა.

გულითად მადლობას ვუძლვნი მეუფე რუსულანს, ევანგელურ-ბაპტისტური ეკლესიის ეპისკოპოსს, იმ ენთუზიაზმისა და მხატვრული ნიჭისათვის, რომლითაც მან შეძლო ქართული ენის კალიგრაფიული მშვენიერებით თვალსაჩინო გაეხადა ამ მოწოდებების გული. ეს მადლობა ეკუთვნის ყველას, ვინც წვლილი შეიტანა ამ ინტუიციის განხორციელებაში...


განსაკუთრებული მადლობა ფოტოებისთვის მშვიდობის კათედრალის საერო კანონიკოს ჯეიმს კრუკს (Lay Canon of The Peace Cathedral James Crook).

თბილისის მარიამის ზეცად აღყვანების კათოლიკურ საკათედრო ტაძარს ორნამენტი შეემატა, რომელიც მორთულობაზე მეტად, არის აშკარა მოხმობა იმისაკენ, რომ ლოცვით მივმართოთ მარიამს: წმიდაო ღვთისმშობელო, ილოცე ჩვენთვის!

## პაპ ფრანცის პის დეკლარაცია ქართულ ენაზე

ლათინ კათოლიკეთა კავკასიის სამოციქულო ადმინისტრაციამ ქართულ ენაზე თარგმნა და გამოსცა დეკლარაცია „კურთხევათა სამწყსო მნიშვნელობის გამო“. მასში შესულია პუნქტები პაპ ფრანცისკეს აუდიენციიდან, რომელიც შედგა 2023 წლის 18 დეკემბერს.

- დეკლარაცია მოიცავს ისეთ საკითხებს, როგორებიცაა:
- კურთხევა ქორნინების საიდუმლოში;
- სხვადასხვა კურთხევის მნიშვნელობა;
- წყვილების კურთხევა არასტანდარტულ სიტუაციებში და ერთსქესიან წყვილებში;
- ეკლესია — ღმრთის უსაზღვრო სიყვარულის ხილული ნიშანი.





შოთარი რეზალიშვილი; გ. გამრელე მრავალნივნი CSS

სტრუქტურული კოდექსის: ნებარ ბარეფერაცია, კონკურ ნინაძე, მირენა პარუბაშვილი, მერაბ ლალაშვილი, ფინანსის სამინისტრო

შენიშვნის მხარდაჭერის: მედუ, მიხედვ სურბე, თამაზ ხევიშვილი

შილამიშვილი: უწევნებ „ასახ“ რეფატუ, ვი ასეაძი ქ. №4; მის, თბილისი, საქართველო;

E-mail: [sabavjurnali@gmail.com](mailto:sabavjurnali@gmail.com); რედაქტორის №1853, ფარისხთა სანაციანი მიზან 1995 წელს, © ქადა

ISSN 2720-8001